ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი **18.07.2023.**

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე. საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი გურამ ბოლქვაძე, საკრებულოს მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი ცპეციალისტი ლაშა სარჯველაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

4. სხვადასხვა საკითხები.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და

სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ. სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების საფუძველია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია და „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. აღნიშნულ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.
მომხრე-6, თავი შეიკავა 1 დეპუტატმა (ჯუმბერ ბლაგიძე)

დღის წესრიგის მეორე საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ. განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის განყოფილების უფროსმა **ვარდენ კვაჭაძემ.** მან განმარტა, რომ ცვლილებები განპირობებულია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზების გეგმიდან“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ლანჩხუთში თამარ მეფის მე-2 შესახვევში მდებარე 50 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.06.53.289) ამოღებით მისი პრივატიზების გამო და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას და პრივატიზების გეგმაში“ ქვემოთ ჩამოთვლილი მოძრავი ქონებების დამატებით:

FORD TRANSIT - სახელმწიფო ნომრით BC-757-DB.
SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომრით AA-896-BB
SKODA OCTAVIA - სახელმწიფო ნომრით FF-535-FG
RENAULT DUSTER - სახელმწიფო ნომრით BB-309-BP
CHEVROLET LACETTI-სახელმწიფო ნომრით FF-434-FG.

აღნიშნულ საკითხზე კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ განკარგულების პროექტს.
მომხრე-7, წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის მესამე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ. მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის 6 თვის მონაცემებით ბიუჯეტის შემოსავლები აჭარბებს დაგეგმილი 2023 წლის ბიუჯეტის 50% -ს, ამ პერიოდისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება გასტუმრებულია.კომისიის წევრი გიორგი გოგუაძე დაინტერესდა ხომ არ არის რაიმე სადაო საკითხები ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებთან დაკავშირებით, რაზეც როლანდ ლაშხიამ უპასუხა, მიმდინარეობს დავა ჩოჩხათისა და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების შეუსრულებელ სამუშაოებთან

დაკავშირებით, ასევე სოფ.ორაგვის ტურისტულ მიმართულებაზე ერთ-ერთი პროექტის ვადების დარღვევასთან დაკავშირებით კონტრაქტორს დაკისრებული აქვს საჯარიმო სანქციები.
საკითხის ირგვლივ სხვა შეკითხვები არ დასმულა,კომისიამ დადებითად შეაფასა 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში. დადებითად შეფასებას მხარი დაუჭირა 6-მა და შეფასებისაგან თავი შეიკავა კომისიის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი

19.07.2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №6

2023 წლის 19 ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი :

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

კომისიამ დადებითად შეაფასა 2023 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულების ანგარიში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

19.07.2023 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	
2	ია მოქია	10:55	
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	
4	სპარტაკ კვაჭაძე	10-57	
5	კახა თედორაძე	[illegible]	
6	ვლადიმერ ნანაძე	10 50	
7	გიორგი გოგუაძე	10 55	
8	ვერიკო კვირკველია	[illegible]	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	10 55	